ღ3ლიჭადი მეორე. № 31. 10 მარიამობ. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულ ენებზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . « 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ «**ივერია**» პირველს მკათათვიდამ ვიდრე მომავალ პირველს იანვრამდე. ფასი ნახევარის წლისა **სამი მან. და ათი შაური.** ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღება უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ქვემოთ დუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი შემდეგია: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Иверія».**

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს ოთხშაბათობით დილის ათი საათიდამ ვიდრე შუადღის ორ საათამდე.

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე. („ივერიის“ კორრესპონდენციები) ქართლიდამ, მეჯვრისხევიდამ, ქობულეთიდამ წერილი.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—III. მოკლე შენიშვნები სამზღვარ გარეთიდამ, (ტფილისიდამ კრაკოვამდის). IV. რამეთუ კაცი ვარ, (ისტორიული რომანი გეორგ ებერსისა).

საქართველოს მატიანე

ქართლი, 3 აგვისტოს. («ივერიის» კორრესპ.). რადგან ჩემის საქმისთვის ერთხელ სოფელ ხიდისთავს მივედი. ეს სოფელი მდებარეობს ორ ვერსტზედ გორიდგან. გამეგონა, რომ ხიდისთავი ძალიან კარგი სოფელიაო და სულმა წამძლია და ვაგზალიდგან გავიარე. გავიარე, მაგრამ ძალიან კი ვინანე სწორე მოგახსენოთ: ახალი ნაწვიმარი იყო და ასეთი ლაფები გახლდათ, რომ ფეხის გადაცდენა და ყურებამდინ ჩავარდნა ერთი იქმნება. სახლების ნუღარ მეტყვით! გლეხ-კაცების სადგომები წარმოგიდგენთ ერთს უზარ-მაზარ საროს, ლაბირინტს, ასე რომ ერთი სახლის გვერდი რომ გახვრიტოთ და შეძვრეთ, მთელ ხიდისთავის გლეხობის სახლობას მოივლით ისეთ ნაირად არიან ერთმანერთზედ გადაბმულნი. გზები ბანებზედ გახლავთ გაბმულნი და თუ დამე გავლა მოგიხდათ, ნამდვილად კისერს მოიჩენჩხთ. სიამოვნებასაც ბევრს მიიღებთ დამე აქ ყოფნით: ხიდისთავის ბოლოზედ ასეთი გუბეები გახლავთ, რომ რაღა მოგაწონოთ! ეს გუბეები გახლავან ავსებულნი თვალებ-დაჭყეტილი მლურავებით—ბაყაყებით. მობინდდება თუ არა, ესენი შეაბმენ კონცერტს და ასეთი დამატკბობელი გალობა გახლავთ, რომ თბილისის თეატრშიც ვერ გაიგონებთ, მეტადრე თუ ტუროლლა და გრობშელდა იქნებიან მგალობლად. აბა, ამათი ყურები გაარჩევენ ხმებს კარგად აი! დალოცვილები, დააშრონ ეს გუბეები, რა არის!!

ხათაბალა ყოფილა აქ ჯვარის წერა. გაკრიჟანდა მღვდელი ერთ ჯვარის წერაზედ, ბატონო, და მინამ თავისი არ გაიყვანა, ნირი არ შეიშალა. ახლა მნათეა, თუ რაღაც ჯანაბა, ჩააცივდა კარის გასაღების ფული მამეციო. გაუვლიფეს, გაუვლიფეს საწყალი მეჯვარისწერეები, იმ მაღალი ჯვარის ხათრი არ მოიღეს არც მღვდელმა, არც მნათეა, რომელიც ეკლესიაში ავლნია. მეც გახათი შემივიდა გულში და კარებს ავეტუზე—აქ არა მთხოვონ რა, მეთქი. ღვთის მადლით გადავრჩი.—ჩალხი ხიდისთავისა საშინელი გამკილავი და ოინ-ბაზია. როგორც ეტყობა, რომ ამ სოფელს გორი ახლო ახლავს. მაინც აქაური მამულები გორელი სომხებისაა მომეტებული ნაწილი. მგონია ამათგან არის ხიდისთავი, რასაკვირველია, ზნეობით გაკეთებული!?

X

აქედგან ბევრი ვიარე, ცოტა ვიარე, გამოვედი გორში. ოო, ჩემი ჭირი შენ-მეთქი, გორო! ვუთხარი

იმას, როცა ამირანას ხიდზე შევდექ. ეს საწყალი ქალაქი! რამდენი ტანჯვა აქვს ამ უბედურს კორრესპონდენტებისაგან! არ ასვენებენ, ბატონო, არ! ვინ მოასვენებს, როდესაც რომ ყურებამდინ სიფაითით არის მოცული. სწორე გითხრა, ისრე გავიპარე გორის ქუჩებში, რომ კაცს არ დავენახვე: მეშინოდა, ვაი, თუ ან ჯვარი შემითხუზონ რამე, მეთქი, ან გამკილონ, ან ცუდი მიმართულება დასწამონ ჩემს სამგზავრო ტანისამოსსა მეთქი სხვა და სხვა ჩიბუქებმა. მხოლოდ იმ ქუჩაზედ, რომელზედაც „ივერიაში“ არა ერთგზის იყო მოხსენებული, რომ ადამიანის ფეხით არის მოკირწყლულიო,—დიახ, სწორედ იმ ქუჩაზედ შემხვდნენ პაწაწა ბავშვები, გოგებაშვილის ანბანებით იღლიაში მიეშურებოდნენ. სად მიცუნცულებთ, მეთქი, ვუთხარ ერთსა. მე ლავრენტას შკოლაში მივდივარ. ორიოდე სიტყვით გავაგებინებთ ამ შესანიშნავ ორიგინალურ „ლავრენტის შკოლის“ გარემოებას. ლავრენტი ქართველოვი გახლავთ გორის ოქონის ეკკლესიაში მთავრად. ამას თავის სახლში, ერთის მოზდილ ოთახში, აქვს გამართული შკოლა; ამ შკოლაში დადიან გორის ხელოსნების შვილები. მამა ლავრენტი ასწავლის წერა-კითხვას ერთად მოძრავის ასოებით, რომლებსაც დასწავლის უმალვე ხატვენ. ამის შეგირდები მალიან გარკვევით კითხულობენ ქართულს. ხშირად შეხვდებით ამის ნაშეგირდლებს გორის ბაზარში დახლიდრებათ, რომლებსაც უჭირავთ ქართული წიგნები და ჰკითხულობენ, თვითაც და სხვებსაც უკითხავენ. ეს ლავრენტი თვეში ერთს აბაზს ართმევს თურმე და შემძლებულებს ექვს შაურს და ორ აბაზსაც. ერთის სიტყვით მამა ლავრენტი არის გამავრცელებელი ქართულის წერა-კითხვისა ხელოსნების შვილებში. რა იქნებოდა, რომ სოფლის მღვდლებს, სემინარიაში კურსს შესრულებულებს, მიებაძნათ მ. ლავრენტისათვინ და გაეხსნათ ამ გვარი შინაური შკოლები და გაევრცელებინათ ცოდნა წერა-კითხვისა! მაგრამ ღვინო ვიდამ დალიოს! ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ მ. ლავრენტის განათლება არ მიუღია. მაგრამ მშვენივრად იცის ქართული ენა. რაც კი ქართული წიგნი მოიპოვება სადმე და გამოვა, უთუოდ ამან უნდა გაიჩინოს. ამასთან უსწავლია რიგიანად რუსულიც და ხალისიც აქვს სწავლისა. ქართველთ საზოგადოებისაგან ეს კაცი მადლობის და ყურადღების ღირსია. გიმედოვნებთ, რომ ამ კეთილ საქმეს მ. ლავრენტი თავს არ დაანებებს და თავის შესაწირავს ქვრივის შესაწირავივით არდაინანებს, ე. ი. შრომას.

×

მშვიდობით გადაურჩი გორსა. წამოველ მეჯვრისხევისკენ, რომელიც თვრამეტს ვერსტზედ მდებარეობს ქ. გორიდგან. აქედგან სოფლამდინ მშვენიერი გზატკეცილი გახლავთ გავლებული. გამოვცდი გორის ვერსს ნახევარზე და ს. ბერბუკის ახლო, იქვე გორთან, ასეთი მოზდოკური ხარები ეყარა გატყავებული გზის ახლო, რომ-რომ რაღა მოგახსენოთ. „ფოდრაჩიკებს“ დახოცვიათ ჭირით. ასეთი კარგი სუნი კი ამოდიოდა, რომ რაღა მოგაწონოთ. წარმოიდგინეთ: ქვეით ქ. გორია, და ზევით ს. ბერბუკი. უყურებენ ამ მშვენიერ სანახაობას! გამვლელს რუსულ კარტუზიანს ვკითხე: რათ ჰყრია, მეთქი, ასე დაუდევრად ეს აყროლებული ხარები, ხომ ვნებას მოუტანს ხალხს, საქონელს, მეთქი?—ეე, დალოცვილო! ამას ჩვენში ასსენიზაციას ეძახიან, მითხრა კარტუზიანმა. ააშენათ ღმერთმა, კარგა გაუგიათ მეთქი, აქაურებს სისუფთავის საჭიროება!

×

დავადექ გზა-ტკეცილს, დილა იყო, ისე შენ ისიამოვნე ყოველის კეთილით, მკითხველო, როგორც მე: გზას აქეთ-იქით არტყია მინდვრები, გადახნულები, რასაკვირველია, გლეხისაგან თავის «ლაბათი,“ და შემოსილები გამხმარის ყანით. მოჰქონდა ქარს, დილის ნიავს, მშვენიერი სუნელოვანება; ჭიკჭიკი და სტვენა ტოროლებისა გულს მიხალისებდნენ, მაგრამ მეორეს მხრით, ჩემი გული ნაღვლით აივსო, როცა შევხედე წელში ხუთად გადუნულ „მინდვრის შვილებს.“ „გულგადედილი, პერანგა პურს ცეცხლივით მოსდებოდნენ“ საცოდავები. მოისმოდა მწარეთ, ამოხვნეშით „ჭოპუნას“ ხმა და ნამგალს ჭაერში გაჰქონდა კრიალი. გადასდიოდათ სახეზე ხვირთქლი. მზე რომ დააჭერს, მაშინ რაღა სანახავები იქნებით, მეთქი, ვთქვი ჩემ გულში. იქ ხედავ, დედა-კაცები ჰგლეჯენ ფეხშიშველა ფეხით ცოცხს, აქ პატარა ბავშვს გუდით ზურგზედ მოუდის ხარები. ბავშვი ალაგზედ ძლივს სჩანს, ხარისთვის კუდზედ ხელი მოუკიდნია და ისრე მობობ-

ლაშს. ეტყობა შენს ბატრონს, სატოდავო ბავშო, გასწირვებია, რომ ძუძუ მწოვარას გზავნის მინდვრად. საშინელება არ არის ამათი შეწუხება! ესენი გინა არ უნდა შეიბრალოს კაცმა! ოხ, თქვე გულ-ქვანო, ვიფიქრე მე, ვინც ამათ არ იბრალებთ, რა გაქვთ გულის მაგიერ!..

ამოგედი მეჯვრისხვეს ამ გაუოცებელ „მეუბანიეში.“ ბბა, ფეხის ძოძწრელი მედუქნეები აქ ყოფილან ხი! დვინო აქ სანაქებო სატოდნია; თავს ლვინოს დუქანში თუნგს მანეთად ჭვედიან; თამბაქოს—მახორკას გირვანქას სამ ბბაზათ, როდესაც რომ მაგისი ფასი სამი შაური, ძლიერ ბევრი ბბაზი-გირვანქა. ყოველისფერს ცაცხლი უკიდია. ძალიან საკვლეფავი ხალხი ყოფილა, ამიტომაც გორიდგან ამოესახლა ერთი მატრაბაზი სომეხი და აქ გაჭრობს. ჭკვლეფავს, ჭრეჭავს, ვინ არის ბატრონი!! დუქნებიან რომ მოგედი, ერთი რალაც ლარდარი იყო: უნდა გაგაძოთ ეგენი, უნდა კარგა გაგტეიბოთ; არა, უნდა მოგკლათ.“ გამოჩნდა, რომ ლაბარაკი იყო „დროების“ კორრესპონდენციაზე მეჯვრისხვეიდგან. ამას გერაგინ დასწერამდა ამ ორის უჩიტლის მეტიო. ვინ „ორი უჩიტლია“ ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ამან გამაკვირა: დავიჯერო, უჩიტლის მეტს წერა არ შეუძლიან სხვას? დავიჯერო, მეჯვრისხვეის საზოგადოებას სხვა გერაგინ იცნობს? ბევრი ტეუილი სწერია; ამასთანავე ამბობენ: ეგ იცნობს კარგად აქაურ საზოგადოებასაო. თუ ტეუილი სწერია, მაშ გელარ იცნობს, თუ იცნობს, მაშ რაც სწერია მართალია. ორში ერთი უნდა იყოს. ეჭ, რა ჩემი საქმეა ამაზე ლაბარაკი, სხვა ათასი საქმე მაქვს.... ზოგი სხვა დრეს იყოს.

მგზავრი კოხი.

P. S. მოსავალი ბურისა და ქერის ქართლში ძალიან კარგია, მხოლოდ ალაგ-ალაგ სარწყავებში და ურწყავებშიაც დაოდა, დაფშუტა თავ-თავი უხეირო ამინდმა. ჯერ ბევრი წვიმები ჭამნდა, მემრე უცბად სიცხეები დაუჭირა და მოასწრაფა მოსავალი, რომელიც ამის გამო ფეხათ ძალიან მალალი და მსხვილი ლერწიანი გაიზარდა და მოსავალს კი უკლო. ვენახებს ისეთნაირად ასხია ქართლში, რომ დიდი ხანია არ ყოფილა ასრეთ, ამბობენ მოხუცებულები, და არც წახდენილია, როგორც კასეთში უჩივიან.

მეჯვრისხეთი, 13 ივლისს. («ივერ.» კორრესპ.) ს. მეჯვრისხევი კარგა მოზდილი გხლებია, აქ ჩამოდის მდინარე მეჯუდა, რომლისგანაც ჭქვია სახელი—მეჯვდისხევი, მაგრამ გადაკეთებულია ხალხისგან მეჯვრისხევათ. ეს მდინარე ჭეოთს ორად ამ სოფელს; აღმოსავლეთით დიდი—მეჯვრისხევია და დასავლეთით პატარა მეჯვრისხევი სხვა და სხვა უბნებით. ამ პატარა მეჯვრისხევში გახლავთ გასამეჯნავი კომისია, გამმეჯნავად გახლავთ უფ. სამარდინოვი. გათენდა დილა, გაიღვიძა კამმისიამ და გავიდა მინდვრად. აქედგან მორბის ქვეითად კობლით ხელში ზზნაური, იქიდგან ცხენით მოჩანჩალებს მეორე, აივსო მინდორი ზზნაურებით და მათის კობლებით. შემოუარეს გლეხის მამულს, აქ საიდგანაც იქნება გაუჩნდება მოდავეთ შარიანი ზზნაური სატოდავ გლეხს. აქეთ-ეტემა სატოდავი გლეხი, იქით ეტემა, იშოვის დალალს, მიგზანმოგზავნა გაჩნდება, ელჩები მოარბიგებენ მოდავეებს ამ რეგორ: სატოდავ გლეხს წაართმევენ რამდენსამე თუმანს და მერე უდავოთ ეღირსება „დაყორღვნა.“ ძვირად იქნება ისეთი მამული გლეხისა, ძალიან ძვირად, რომ ეს გაუმაძღარი ზზნაურები არ წაედავონ და ამ წადავებით არ გამორჩნენ რამდენსამე მანეთს. უჩნდებათ ამ სატოდავებს გულის შემატკივრებიც, არიგებენ, ეურში აწვეთამენ, რომ მამული რა კი მამითა, ბაბით შენ გაგერგა, და აქნობამდე მოდავე არ გეოლია, ესეთი მამული შენია, გერაგინ წაგართმევს, ტეუილად ნუ შეგეშინდება ზზნაურის წამოდავებისაო, მაგრამ გაბრუნდება თუ არა, ეტემა ზზნაური და ეტუვის: არამცა და არამც მაგას არ გაუგონო, შენი დალუბვა ჭსურსო, და გადაბირამენ სატოდაეს გლეხს. ამას გარდა, სატოდავი გლეხები გაუბრიუკებიათ და ზზნაურებისთვინ, რასაკვირველია, რომლებიც მოხერხებულები არიან იმითთვინ, რწმუნების წერილები მიუცია თ (довѣренность) და ამის ძალით ისინი „ჭეორღნიან“ გლეხის მამულებს და ერთი ორათ უსმენ მამულს. ამ სატოდავებმა რით ვერ გაიგეს, რომ ესენი—ზზნაურები შესაწმელად არ ინდობენ უწინ და ესლა უფრო გატოფებულები არიან, რადგან გარეგნობით გამოეცალნენ ხელიდგან, და არ დაზოგენ. უფრო დახელოვნებულნი გახლავან ამ ეველეფაში ახრისის ზზნაურები ყანჩავლები, რომლებსაც შეიძლება ეველეფაშვილები დავარქვათ და მერმედ ჩიკოიძეები—მეჯვრისხვეელები. ერთის სიტყვით მთელი მეჯვრისხვეი ამ ყანჩავლებისა ყოფილა, როგორც ეტეო-

ბა. ამასთან ბრიყვ-გაუგებელ გლეხებს აბრიყვებენ და აშინებენ შფოთს და აყალ-მაყალს. ამ ივლისის თვეში ისეთ ნაირად მოუხერხეს საქმე დავით ერისთავის (ლამისყანელის) მიჩემებულს კაცს თავის მამულზედ, რომ ძვირფასი მამული ამ თავადს ლამის ხელიდგან გამოსთხლიშონ. ამ მიჩემებულის კაცისთვის უთქვამთ, რომ ჯერ ერისთავის მამულამდინ ვერ მივაო გამმიჯნავი, და ამა და ამ დღეს გამოდიო. ეს გლეხი გახლავსთ, დაუჯერებია. ის კი არა თუ კომმისია მიადგა ერისთავის მამულს, რომელიც სჭერია «უსტავნი გრამოტით» გლეხს ახალ-უბნელს. აზნაურებს, მგონი ყანჩაველებს, გაუბრიყვებიათ ეს გლეხი, რომ ჩვენ ათი თუმანი მოგვეციო და ამ დ. ერისთავის მამულს შენზედ შემოვაყოლებინებთო. ამასაც ხელში არ ჰქონია და მგონი ბარათი მიუცია; შემოუვლიათ მამულისთვინ. არც ნამდვილი პატრონი, არც რწმუნებული, არა სჩანან, წარსდგება გლეხი მომხრე აზნაურით და შემოჰყოლინიან გლეხის სახელზედ. მოტყუებით დანიშნულ დროზედ გაჩნდება დ. ერისთავი, ნახავს, მამული ჩამოურთმევიათ. გაჩნდება ჩხუბი, აყალ-მაყალი, «ზემლემერს» ეცემა, მოუვათ ლაპარაკი. მაგრამ «ზემლემერმა» რა ჰქნას, თუ კი არ გამოცხადდება პატრონი, ან იმისგან დაყენებული კაცი. ბოლოს წავა-წამოვა საქმე და ისევ გლეხი დაიტანჯება. ვისით? აზნაურის წადილით.— ასრე ამბობენ: სულ უკანასკნელი, წრეულს ახრისული აზნაურები—ყანჩაველები ორას თუმანს ნაღდს გაიტანებენ გლეხებისაგან და მამულ-ადგილი კიდევ სხვა. სად არის სამართალი, სად არის ღმერთი ამათთვის? დავიჯეროთ, არ შეუძლიან, ნება არა აქვს კომმისიის «ჩინოვნიკს,» რომ ეს მოქმედება მოსპონ და თუ თვით არ შეუძლიანთ პოლიციას აცნობონ? «ზემლემერს» იქნება არც მწვადი ეწვის და არც შამფური და რას ინაღვლის.—

მეჯვრისხევს დასავლეთით უძევს ს. ახალ-უბანი: აქაურ მამასახლისს სხვა უბედურებასთან, რომელიც ამათ სჭირთ, არშიყობაც დაუწყვია გლეხის ცოლებთან. უფ. ფესიტიძეს—ახალ-უბნის მამასახლისს ვენახში დაუჭერია მეზობლის ცოლი, რომელსაც დაუყვირნია და რძალი მიშველებია. ამას შეუტყობინებია იქვე მყოფ ქრმისთვინ, რომელიც ქერს თურმე სცელდა, გამოქცეულა ცელით და ფესიტიძე წინ შეჰფეთებია.—აი, დაგიდგა თვალი, დაგიდგა, მიუძახნია რძალს, რაღათა ხარ ცოცხალი, რომ შენს ცოლს გიუპატიურებდაო!» ეს გაბრაზებულა, უდვია და უდვია ცელის პირი, მერმე ტარი და სულ ზედ დაუმტვრევია მამასახლისისთვის. ძალიან ნაცემი გახლდათ, ექიმმაც შეამოწმა, მაგრამ სიკვდილს გადაურჩა. ჩვენ გლეხს ამის მეტი სიკეთე არა სჭირს, რომ ზნეობა ძალიან კარგი აქვს, გაგონებაც ეზიზღება ამისთანა რისამე და თუ თითონ შეკმთხვა ან თავს მოიკლავს, ან ბრალეულს თვით თავის ხელით გადაახდევინებს. ასეც არის: რაღა ებ უნდა ისეც განიორწყლებულ გლეხს.—იქნება სხვა მამასახლისებმა აღარ გაბედონ მეხუდოში უბრალოთ შესვლა, ახალ-უბნელის მაგალითი წინ უდევთ.—

ჩრდილოეთით მეჯვრისხევიდგან ოსეთი იწყობა. თვე არ გავა ისე, რომ ან კაცი არ დასჭრან, ან არ მოკლან; აქ ისეთი იაფი გახლავთ კაცის კვლა და დაჩეხა, რომ სულ სამი შაური დაგიჯდებათ: ერთი ტყვია მისი ქაღალდ-წამლით, სხვა არაფერი. მტრედი, მწყერი, ან სხვა რამეს მოკვლა რომ მოინდომო, ძნელი ძნელია: მიპარვა უნდა, მიხოხება და ისიც ვინ იცის, აგიფრინდეს კაცის მოკვლა კი ადვილია: აიღე თოფი, ჰკარ და გადაბრუნე. ამას წინათ ერისთავის მოურავი დასჩეხა საყვირეთელმა ოსმა; გუშინ იმავე ოსმა თავის მამის ძმას თოფი ჰკრა და გადააბრუნა. თითონ კი მოუსვა ხეობისკენ—ამბობენ, რომ ასეთი მოუსვენარი იყოო ეს მოკლული ოსი, რომ მთელი ხეობა მომყრალებული ჰყავდაო, დაშინებული და დაწიოკებულიო. მაგის შიშით ქართველი გლეხი შეშას თურმე ვერ მოიტანდაო. სიცოცხლით უსარგებლო იყო და სიკვდილით სარგებლობა მოუტანა ამ ოსმა გლეხებს: თავისუფლად ივლიან ტყეში. აქვე ახლო, ს. ანდორეთში, წარსულ თვეში ახალგაზდა ოსმა თავის ბიძაშვილს ჩამოჰკრა ხმალი და ყური გააგდებინა, მხარი ჩაჩეხა; რასაკვირველია, უნდა დაეჭირათ, მაგრამ ძმა—ლაქია დაუდგა თავდებათ და გადაარჩინა დატუსაღებას. რა გამოვიდა, მოჰკლამ კაცს, ან გამართლდები, ან ციმბირში კატორღაში გიკვრენ თავს. ერთი წავა ციმბირს, მეორე მეორე დღესვე ჰკლამს კაცს. ისევ ციმბირი, ისევ კატორღა; დაუსრულებელი კია და! ციმბირი და კატორღა თავის დღეში ხალხს არ დააჭკვიანებს, არ გააგონიერებს, წინაალმდეგ უფრო აზიზღიანებს იმას, ერთი წინაალმდეგობა მეორეს გამოიწვევს. ამ სენს უნდა განათლებით ვებრძოლოთ და არა შემავიწროებლის ღონისძიებით.

მ. კოხი.

— გაზეთს „დროებაში“ (№ 156) დაბეჭდილია ქობულეთელის ქართველის წერილი, რომელიც სიტყვით, თუ აზრით ისეთი კარგია, რომ ჩვენ დიდის სიამოვნებით ვბეჭდავთ. აი ის წერილი:

ბატონო მეგაზეთე!

თქვენის „დროების“ გაზეთს ვკითხულობ ძველი ბებია ჩემის ნასწავლი ანბანით. ამას წინათ წავიკითხე თქვენ გაზეთაში ამბავი ჩვენი ქვეყნის სასარგებლო და ისე ჰგავს, თქვენ ჩვენი ხალხის მწყალობელი უნდა იყვეთ.

ახლა გთხოვთ, რომ ჩემი გლახა მოწერილი წიგნა თქვენ გაზეთაში ჩამიბეჭდოთ; ჯერ გასწორე კი, ბატონო მეგაზეთე, თორემ დაგვცინებენ.

თფილისის სომხებს უფიქრნიათ ჩვენ ქვეყანაში ადგილის, მიწის და მამულის შეძენა. ნეტაი რა შეიტყვეს: ჩვენ თუ რუსებს დავრჩით, [ჩვენი ქვეყნიდან ხომ არ გაგვდენის! ჩვენს თავზედ ქვეყანა ხომ არ იქცევა, რომ ჩვენი სახელი და გვარი მოისპოს და სომხებს დარჩეს ჩვენი ადგილი და მამული.

მაგ მეგაზეთე! ჩვენი მომხმარე ხარ და გაზეთაში განცხადება მიეცი, ამან, ამან ეცადე ალლა (ღმერთი გიშველის). მოგვეხმარე, ასთე არ დავკარგოთ ჩვენ ქვეყანას, რომ ქალაქის სომხებმა იშოვნონ, ჩაიგდონ ხელში და თავმა ქნან. ისთე ღმერთი არ წაგვახდენს, განათლება და კაცობა არ შივიდოთ და არ მოვიხმაროთ ჩვენი ადგილ-მამული.

აქ თუ რამეა, ჩვენ გვინდა.

ჩვენ პაწაი უსამართლოდ დაცემული ვართ; ახლა კი მოველით სამართალს და კაი ცხოვრებას, ალლახ ქერიმდურ (ღმერთს ვენდობით).

ჩვენი ხალხის ყოფა-ქცევაი ასეთია, რომ ორს ამბავს ვერ ეიტანს: ერალს ლანძღვას, გაუპატიურობას (ისეც არის გურულები რომ მალ-მალ წამოგვძახვენ—ვითომ ჟმათ გვშონილობენ) და ერთიც მიწა-მამულის შევიწროებას და წართმევას.

ეს ამბავი ჩაწერეთ, მაგ ბატონო, თქვენ გაზეთაში, თუ შესაწყნარია.

ერთი სათხოვარი მაქვს კიდოვ; თქვენი კაი კაცობა გამიგონია და იქნება ამისრულო; თქვენი „დროება“ გაზეთაი მიბოძეთ ქობულეთს გამომიგზავნე ჩემ სახელზე....

ძველი ქართველი.

ახმედ-აღა კაიკაციშვილი.

ქალაქი ქობულეთი, 27 მკათათვეს.

საპოლიტიკო მიმოხილვა

ბათუმის მოცემაზედ და ბათუმის ოლქის მცხოვრებლებზედ აი რას იწერებიან ტრაპიზონიდამ ნემეცურს გაზეთში „Politiche Correspondenz.“:

„თუმცა შერიგება ჯეროვანად ხელმოწერილია, მაგრამ აქ მაინც საპოლიტიკო და სამხედრო წყობილებაში დიდი ალიანქოთია, მერე ისეთი ალიანქოთი, როგორიც იყო რუსეთთან გაცხარებულის ომიანობის დროს. ერთის მხრით ლაზებსა და ქურთებ შორის არეულობაა, მეორე მხრით ოსმალეთის მთავრობა თავისას არ იშლის და ომისათვის იჭურვება, მერე ისე ძლიერ იჭურვება, რომ თითქო ხვალ უნდა დაიწყოს ახალი ომიო. თვითონ პორტა (ოსმალეთის მთავრობა) უცვლელს ღონისძიებასა ხმარობს, რომ მისი საქციელი და ამ საქციელის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი იყოს. დერვიშ-ფაშამ ჯერ ისევ რვას ივლისს მიიღო ოფიციალური ბძანება, რომ შეუდგეს ბათუმიდამ ჯარების გამოყვანას და ბათუმის დაცლასა. ეს ბძანება მოუვიდა თუ არა, რასაკვირველია, აცნობეს რუსებსაცა, მაგრამ მაშინადვე ფილიპოპოლის კომენდანტი იბრაიმ-ფაშა მოვიდა ბათუმს და საიდუმლო ბძანება მოუტანა დერვიშ-ფაშას. ხოლო აზრი რომ არავის აქო, იბრაიმ ფაშას ჩააბარეს ერზინგიანის ჯარები ვითომ და ახალის თანამდებობის მისაღებად მოვიდაო. იბრაიმ-ფაშა აქ ტრაპიზონში მარტო ერთი დღე დარჩა და მერე კი მაშინათვე ჩაჯდა ცეცხლის გემში და ბათუმს წავიდა. თუმცა მან ბათუმში დიდხანს არ დაჰყო, მაგრამ მისმა ყოფნამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და მალე გამოაჩინა თავი ძალიან აშკარად და მკაცრად.

„იბრაიმ-ფაშამ მარტო რამდენიმე საათით ინახულა ლაზების თავი-კაცები, ბათუმის ახლო-მახლობლამ მოწვეულნი და ამ ნახვამ მალე ახადა ზეწარი დაფარულს განზრახვასა. ლაზებმა ხელახლად დაწერეს პროტესტი რუსეთთან შეერთების წინააღმდეგ, გაგზავნეს იგი პროტესტი დერვიშ-ფაშას, აქაურს ინგლისის მთავარ კონსულს და გაუგზავნეს თვით ოსმალეთის მთავრობასაცა. ლაზები ამბობენ პროტესტში, რომ თავის დღეში არ დაუმორჩილებიან რუსეთს, რომ მათი სარწმუნოება და სხვა საერო სიკეთე სამღვთო კანონსა ჭსდებს ყოველი ზომიერება იხმარონ რათა მათი ქვეყანა რუსმა არ დაიპყრას და თუ ოსმალოს მთავრობა არ დაგეხმარა ამაშიო, ჩვენ თვითონ ვეცდებითო ჩვენის სისხლით და ძვლებით დავიცვათ ჩვენი რჯული და თავისუფლებაო.

„დერვიშ-ფაშამ საჭიროდ დაინახა და ყოველივე ეს ატყობინა თავის მთავრობასა, ზედაც დაუმატა, რომ ლაზები სწორედ ასარულებენ იმ მუქარასაო, რომელსაც პროტესტში ისხენიებენო და ამის გამო მე მეფიქრებაო ბათუმის დატოვა, რადგანაც მაგას მოჭყვება ანდრეევ და სისხლის ღვრაო და ამის პასუხის გებას მე ვერ ვიკისრებო. ერთის სიტყვით, ამ ბებერმა და სერხიანმა მელამ, როგორიც ადრითვე ცნობილია დერვიშ-ფაშა, ძალიან კარგად შეითვისა ის როლი, რომელიც დაუნიშნა მას იბრაიმის საიდუმლო დესპანობამ. დერვიშ-ფაშა ბევრს არა ჭსტყვის: მარტოდ და ლაზების გაბორტყვება უკანასკნელ წერტილამდე აგიდა. ამას ამტკიცებს სხვა, გარეშე პირთაგან მოსული ამბებიცა. ოდა თოთხმეტი ათასი ლაზი დაიარაღებულია და საომარს თვსზედ დგას. ძალიან კარგად არიან შეიარაღებულნი და სულ უკანასკნელ ინგლისური თოფები აქვთ ახალის აგებულებისა. ამ ყოფაში რუსები მოსტყუვდებიან, თუ ფიქრობენ ბათუმის დაჭერას, იმაზედ წინ, ვიდრე ლაზებს არ გაუმეტებიან.

„ამაზედ ნაკლები არეულება არც სომხითშია, ნამეტნავად ერზინგიანის, ვანის და დიარბეკირის ოლქებში. ამ სამის კვირის წინად სტამბოლიდამ სომხეთში გაჭგზავნეს კომისია რომ გამოიძიოს ის აუარებელი აკაცობა, რომელიც იქ აკაზაკთა გუნდებს ჩაუდენიათ. მაგრამ ესტიბარი მიშინვე წაუხდა ამ კომისიას, რა კი შეიტყეს, რომ კომისიაში დანიშნულია სახელ დაცემული კაცი ახმედ-შეფიქ-ბეი გვარტომობით ქურთი. ახმედ-შეფიქ-ბეიმ ძალიან ცუდი სახელი დაჭსტოვა სომხეთში ჯერ მას აქედ, რაც ის კომისარად იყო იქ. კომისიის წევრთა შორის ერთი სომეხიც არის მელიტონ ეფენდი, რომელიც ოსმალეთის პარლამენტში იყო წარმომადგენელად ერზინგიანის ოლქისა. მელიტონ ეფენდი შრომის მოყვარე კაცია და მზად არის ყოველთვის ხელი მოაწეროს მასზედ, რასაც ახმედ-შეიფ-ბეი ისურვებს. იგი ყოველთვის თავშების ყურმოგრილი ყმა ყოფილა და მას თავშები ხმარობდნენ მარტო იმისთვის, რომ მისის სახელით თავისი საძაგელი საქმეები დაეფართ. მაგ კომისიამ, რასაკვირველია ისა ჭქნა, რომ შიშს უფრო შიში მოუმატა და მთავრობას მისცა მიზეზი, რომ ჯარები სომარს თვსზედ დაყენოს. მთავრობამ დაიარაღა თორმეტი ათასი ქურთი და შემდეგისათვისაც განზრახვა აქვს საშუალმო ჯარად აქციოს,—ისე ქურთის-ტანის მუსტახფიზის მაგგვარი რამ შეადგინოს. მაშინ, როდესაც მელიტონ ეფენდი დადის ხალხის სურვილისა და საჩივრების შესატყობლად, ახმედ-შეფიქ-ბეი ვანში ზის და მხედრობის მზადებაშია. იგი ყოველს ქურთს, რომელსაც კი შეუძლიან იარაღის ხმარება, აგროვებს, გუნდ-გუნდებათ ჭყოფს, იარაღს ურიგებს და უნიშნავს ასისა და ათასის თავებს ქურთისტანის მილიციას, რომელიც აქ ოფიციალურად ეძახიან. ქურდთა აკ-კაცობა მას აქედ, რასაკვირველია, უფრო გაგრცელდა. სომხები სულ მუდამ შიშ-ქკეშ არიან და რადგანაც ვაჭრობა ამათ ხელშია, ვაჭრობაც შიშიანობის გამო დაცემულია.

„უფცა ამას ყოველს ჯერ კიდევ ჩუმად და ჩრდილში მოქმედობენ, მაგრამ ოსმალეთის მთავრობაც ცხადლივ ისე იქცევა, რომ სანუგეშოს არრას წარმოგვიდგენს. მესამე წყობის რეზერვი ბაირაღ ქვეშ მოწვეულია მთელს ანატოლიაში. მხედრობას, რომელიც ჭსდგას ერზინგიანს, ყოველ დღე ემატება ახლად მოგრეფილი ჯარის-კაცნი, ასე გასინჯეთ მესოპოტამიიდამაც კი მოერეკებიან სალხს. სამხედრო ხომალდებს ყოველ დღე მოაქვთ სტამბოლიდამ იარაღი და თოფის წამალი. ხომალდებს ღამ-ღამობით ჭსტლიან ხოლმე და გლეხების პატარა ურმებით და ჯორებით გადაქვთ ხვა და სხვა ადგილას. დიდის შტაბის ოფიცრები დადიან და სინჯვენ სიმაგრეებს და ა

მოელიან კიდეც ბლუმა-ფაშას ახალის ციხეების და სიმაგრეების ასაშენებლად. ინგლისის ინჟინრები სომხეთში ყველგან დაწანწალებენ და შველიან ფაშებს და მალიანაც შველიან. ყოველს ფერს ომის ფერი ადევს და ამიტომ შეიძლება ვჭსთქვათ, რომ ჩვენ ომის დირეზედ უფრო გვიდგა ფეხი, ვიდრე მშვიდობიანობისაზედ“.

მოკლე შენიშვნები სამზღვარგარეთიდამ

ტფილისიდამ გრაკოვამდინ.

I

ევროპიელების ცხოვრების თვალით ნახვა, მათის აზროვნების და მოქმედების გაცნობა, ერთის სიტყვით მათის ცხოვრების ჩალხის ტრიალის ახლო ცქერა ვის არ სურვებია და არა სსურს ჩვენში? ვის არუფიქრნია მაზე და კიდევაც არ უნუგეშნია თავისი თავი, რომ როდესმე მოესწრობა ამის აღსრულებას? აგრეთვე ვინ არ იცის, რომა როდესაც კაცი უახლოვდება თავის გულის წადილის აღსრულების დროს, მაშინ ის ხდება მოუთმენელი და, ასე გაშინჯეთ, იწყებს დღეების და საათების ანგარიშსაც კი?! სწორეთ ასე მომივიდა მე, როდესაც დაჭეშმარიტებით გადავწყვიტე დასავლეთის ევროპისკენ წამოსვლა. რამდენიც აქ წამოსასვლელი ვადა მიახლოვდებოდა, იმდენი უფრო მოუთმენლობა მაწუხებდა და ჩემს თვალში თითქმის დღე და საათი მატულობდა. ჩემს ამ გვარს მდგომარეობას მოელო ბოლო და ივნისის ორს, პარასკევ დილით, გამოვედი ვაგზალში, სადამდინაც გამამაცილა ერთმა ჩემმა ნამდვილმა მეგობარმა. ორთქლით მავალი მაშინა მალე დაიძრა თავის ადგილიდამ და ერთი კიდევ დაუქნიეთ თავი ერთიერთმანეთს მე და ჩემმა მეგობარმა, რომლის სახეზედაც ამ ჟამათ ნათლად იყო წაწერილი: „მიხარიან, რომ შენი სურვილის აღსრულების კარის ბჭეში დგეხარ. წადი იმგზავრე; ჩვენის კაცისათვის საჭიროა სხვა ხალხების ბედ-იღბლის ადგილობრივი გაცნობა“.

X

ტფილისიდამ ავსტრიის სამზღვრამდინ შვიდი დღე ვიმგზავრე და ამ ხნის განმავლობაში ვნახე მრავალი სხვა და სხვა სურათები, რომლებიდგანაც მხოლოთ ზოგიერთებს დაუხატავ მკითხველს. აი მირბის რიონის ვაკეში ორთქლით მავალი მაშინა და მიჰყავს საჩქარით მასზე აკონწლილ ვაგონებში მსხდომნი, რომლებშიაც სხვა და სხვა ჯურის ხალხია; მაგრამ ამათში ძრიელ ერჩევიან მეგრელები და იმერლები. აბა შეხედეთ ერთ ყმაწვილ კაცს, ტანოვანს წვერ-ულვაშით შემოსილს, თავით ფეხამდინ შეიარაღებულს, მომავალს იმ გვარათ, თითქო ამბობსო: „ეჰ, განზე, თორემ გაგაპობ. „აი კიდევ მეორე ტანოვანი, ხანში საკმაოდ შესული, თეთრის გრძელის წვერით დამშვენებული, მავალი იმ გვარათ, თითქო ეპარება ვისმეო. აი კიდევ მესამე ახმახის ტანის პატრონი, წვერ-მოპარსული, თავ-მოტვლეპილი, მაგრამ დიდის ულვაშით დამშვენებული, მშვენივრად შეიარაღებული, მაღალ-ხმით მოლაპარაკე, თითქო უწყრება ვისმეო და კიდევ სხვა მრავალნი, რომელიაც ნაკლები არ არის თავისის წამოსადეგობით აღწერილ პირებზე. ახლა ყური დაუგდოთ ამათ ლაპარაკს; მე თქვენ გითხრათ, ენა წამოუბორძიკდებათ. ამათ ლაპარაკს რომ კაცი უცქერის, ასე ჰგონია, რომ სამჯავრო ურილობაში ანუ უკეთ ვსთქვათ პარლამენტში ასე დახელოვნებულან ლაპარაკშიაო.

„კი კარგი ქნა უფ. ლოლუამ, რომ თავი დაანება ბანკს. ქვე ის იქ ვერას გააკეთებდა“. „აბა, ეუბნება მეორე, პირი მოგვაჭამა, პირი, ამომირჩიეთო, ამოვირჩიეთ და კი არაფერს აკეთებდა.“ ეგ არაფერი, იღებს მონაწილეობას ლაპარაკში მესამე—მაშინ იქნებოდა ჩვენი დაღუპვა, რომ დირექტორათ ამოგვერჩია“. „მართალია ქვე“, ამბობს მეოთხე. „ის პატიოსანია მისთვის, ვინც ბლომათ ფულს აძლევს აბა!“ აი მეორე ვაგონებშიაც შეჯგუფებულან იმერლები და ბაასობენ. „ბევრ თივას გაჭყიდდი წელს?“ ეკითხება ერთი მეორეს. „ბლომათ, გავყიდე. წისქვილთან ქვე ერთი ნამწყვა ადგილი მქონდა და წრეულამდინ ჩემ დღეშიაც არ გამითიბნია. ახლა კი გავთიბე და ორასი რგვალი მანეთი ავიღე, აბა!» ამ ვაგონშივე ფანჯარასთან ერთი წამოსადეგი იმერელი ქართველს აჩვენებს ხელით. „აბა შეხედეთ—ეს სუ მ. ეგუთვნის. შენი მტერი იყვეს ისე, როგორც აქ ყაზახები არიან.“ „ეს კიდევ, როცა რამდენიმე ვერსი გაიარეს. ანნ—ისაა და მისაგან ხომ კეთილი არ იქნება და არ იქნება.“

X

აი კიდევ სურათი. ორთქლით მავალი გემი შვილდისარივით მოცურავს შავ-ზღვაში. მზე იწვერება და მისი

სხივები ზოგიერთ ადგილას წყლის ზემო-პირზე უფრო და უფრო აშუქებს, თითქო უძალიანდება თავის პატრონს და არ უნდა ზღვას მოშორდესო. გემის ახლო-მახლო მოზდილი თევზები თამაშობენ, ხან ახტებიან და ხან ჩახტებიან წყალში; ზოგი მათგანი თითქო ცდილობსო გემს მოეწიოსო, ზოგი კიდევ თითქო მზის სხივებს ესალმებაო. გემის „პალუბაზე" სხედან სხვა და სხვა მილეთის კაცები და ქალები. ზოგნი ერთ კუნჭულში მოგროვილან და ზოგნი კიდევ მეორე კუნჭულში და თევზების ჭყაპაჭყუპს და თამაშობას უცქერიან; ზოგნი კიდევ ცალ-ცალკე ანუ სხედან, ანუ დგანან და ესენიც ანუ ზღვას ჩასცქერიან, ანუ კიდევ აქეთ იქით იცქირებიან; იქნება მთა დავინახოთ რამეო. პალუბის წინა ადგილს დაჭრილების ყურ მგდებელ ქალებს უწყვეთ გრძელ სკამზე სახადისაგან ახალათ მორჩენილი ხაშანლათ გამხდარი თითქო სამარიდამ ეს არის ეხლა ამოუღიათო, დოკტორი—ექიმი და ერთის საკვირველის სინაზით და პატივის-ცემით უფთხილდებიან. ხან ერთი ქალი უზის თავ-ქვეშ და ელაპარაკება და ხან მეორე; ხანდისხან კიდევ სამი-ოთხი ერთად ეხვევიან და ღიმილით ელაპარაკებიან. ამ ქალებზე უფრო ხშირათ ელაპარაკება ერთი ქალი, რომელსაც ყველა „დები", როგორც ერთი ერთმანეთს ეძახიან, უფროსათ ჰსთვლიან და კნეინათ იხსენიებენ*) ამასაც ისე უბრალოთ აცვია, როგორც სხვა „დებს" ხანდისხან ეს კნეინა გრძელ სკამზე მარტო ზის და წინ უსკუპია ორი მშვენიერათ ბალნით შემოსილი კატა. ეს კატები სომხეთიდამ წამოუყვანია და ისე უფრთხილდება, როგორც თავის შვილებს; ხან ერთს უსვამს ხელს და ხან მეორეს. სხვა ქალებიც არ აკლებენ ამ კატებს თავიანთ ალერსს. ზოგნი დები რომ დოკტორს ეხვევიან, ზოგნი უთუოთ კატების ალერსში არიან. ბევრი მგზავრთაგანი ამათ მოქმედებას შესცქერია პირდაღებული. პალუბის შუაში დასაკეც სკამებზე სხედან ორი ყმაწვილი ქალი და თავიანთ მომავალ მგზავრობაზე ლაპარაკობენ, უმეტესათ ერთი მათგანი, რომელიც მადიანათ გამომეტყველებს თითოეულს სიტყვას. მე ამათ ლაპარაკში მივიღე მონაწილეობა და მივიდგი სკამი მათ ახლო. ბევრი ვილაპარაკეთ—უმეტესად სწავლის მიღებაზე სამზღვარ-გარეთ. სომხების აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობასაც შევეხეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიცოცხლით, რა ენერგიულათ, რა სიამოვნებით ლაპარაკობდა ამ საგანზე მადიანათ მოლაპარაკე ქალი და თავის ლაპარაკი შემდეგის შესანიშნავის სიტყვებით გაათავა: „თუ ჩემის სამშობლოს ოსმალოს სომხეთის ბედი კარგათ დატრიალდა და თავისუფლება ანუ „ავტონომია" იშოვნა, როგორც სწავლას შევასრულებ სამზღვარ გარეთ, მაშინვე დავბრუნდები უკან და ჩემ სულიერ ძალას მოვახმარებ ჩვენის ხალხის კეთილ-დღეობის წარმატებას." რას იტყვი ამაზე, ჩემო ძვირფასო მკითხველო? ამას ამბობს ჩვიდმეტის წლის ქალი,—ამას ამბობს ქალი სათუთად და სიმდიდრეში აღზრდილი,—ამას ამბობს შთამომავლობით სომხის ქალი. ეს ქალი ასრულებს ამ მშვენიერ სიტყვებს, თუ არა, ეს ჩემთვის ორივ ერთია. მე აქ ვხედავ მაგალითს მხოლოდ და მაგალითი ანუ საქმე იმაშია, რომ ჩვიდმეტის წლის ქალი თამამად ამბობს, თავს შევსწირავ ჩემ სამშობლოსაო, თუ მან ეხლა თავისუფლება იშოვნაო. მე ამ მაგალიდამ გამომყავს ის, რომ ჩვენს ძველთაგან ძველთ მეზობლებში მუშაობს თავისუფლების სურვილი, რომ დიდს და პატარას გასჯდომია ძვალში და რბილში იმ გვარი ძალის შოვნის სურვილი, რომელსაც აქვს თვისებათ განაცხოველოს და გააკეთილშობილოს კაცის ბუნება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის სიძუნწე, ის გაუმაძღრობა, რომელსაც ეხლა ჰსწამობენ და ხედვენ სომხებ ვაჭრებში და რომელიც ზოგიერთის ისტორიულის გარემოების ძალდატანებით დაბადებულა ანუ მათ გასჩენია, მალე აღმოიფხვრება მათში, რაკი თავისუფლება გადააფარებს მათ თავის კალთას.

X

აი კიდევ ერთი სურათი. ოდესიდამ ორთქლით მავალი მაშინა მირბის ერთის საშინელის ბუტბუტით და ვაგონებში მსხდომნი კი მის ბუტბუტს სრულებით ყურს არ უგდებენ. ზოგს მათგანს სთვლემს და საცოდავათ თავს იქნევს, ზოგი ფანჯრიდამ გასცქერია ჭირნახულით სავსე მიწებს; ზოგნი კიდევ ერთი ერთმანეთს ებაასებიან, ერთი მათგანი ძალზე მოკაკული და სერთუკის ღილები აქვს გახსნილი; მარცხენა ხელიც ჩამოხმული აქვს. საწყალს ორ ადგილას აქვს მორტყმული ტყვია. ეს დაჭრილი რომ ლაპარაკობს, პირს სულ ღიმილი მოსდის—თითქო

*) როგორც ბოლოს შევიტყე, ეს ადამიანი იყო კნეინა ხილკოვისა, რომელმაც მცირე აზიაში თავის მოღვაწეობით დაჭრილების შესახებ დიდი პატივის-ცემა დაიმსახურა მხედრებთ შორის.

თავის მობაასეს ასე ეუბნებაო: „ხომ ხედავ, რა ნაირათ ვარ დაჭრილი, მაგრამ მაინც სიკვდილმა ვერა დამაკლო რა და აი ჩემ სახლში, სადაც მიმელიან ჩემი პაწაწკინტელა შვილები და მათი ერთგული დედა.“ მეორე მხედარს აფიცერს მარჯვენა ხელი აქვს წამხდარი და სულ დაღვრემილი ზის. მესამე აფიცერი თუმცა დაჭრილი არ არის, მაგრამ სახადს ძრიელ შეუბერტყნია; მადაზე ახალა მოსულია და ხელიდამ პურს არ უშვებს. მეოთხე მხედარი კიდევ სულ პალტოში გახვეულია და ლაპარაკს ძრიელ ზარობს. ერთს მგზავრს ანუ პასაჟირს გულმა აღარ მოუსვენა და ჰკითხა პირ-მოცინარე მხედარს: „რაო, ძრიელ ხართ დაჭრილი?“ „ძრიელ. ერთის ადგილიდამ კი ამომაცალეს ტყვია და მეორედამ კი არა. ეხლა პეტერბურღში მივდივარ მოსარჩენათ, მაგრამ ჯერეთ ჩემ სახლობას შეუვლი.“ „ხომ ყოჩაღათ მოქმედობდნენ ჩვენები?“ „ყოჩაღათ ვიქნებოდით მაშ არა? თათრები ხომ არა ვართ, რომლებმაც თავი უთუოთ უნდა ამოაფარონ რასმე, თორემ თოფის სროლას ვერ შეიძლებენ. ჩვენები ყოველთვის პირდაპირ მიდიოდნენ ხოლმე—სრულებით არაფერს ერიდებოდნენ. ხომ წაკითხული გაქვთ, რა ოინები ჩავიდინეთ პლევნის ასაღებათ. მართალია, ბევრი მოგვიკლეს; მაგრამ სამჯერ ჩვენი მისტომა საკვირველი საქმე იყო“. როცა ეს მხედარი ლაპარაკობდა, ვაგონში საშინელი სიჩუმე იყო—სუყველანი განაბულნი ყურს უგდებდნენ ამის ლაპარაკს. „რუმინიელები როგორ მოქმედობდნენ?“ ჰკითხა ამ მხედარს მეორე პასაჟირმა—მგზავრმა. „რუმინიელები? აი შეარცხვინოთ ღმერთმა!... თათრებზე უფრო მხდალნი ისინი ყოფილან. გარდა ამისა გაემმაკებული და ორ პირი ხალხია. ყველაფერს ერთიორად გვაძლევდნენ და ცდილობდნენ, როგორმე მოვეტყუებინეთ“. პალტოში გახვეულმა აფიცერმა ერთბაშათ ხმა ამოიღო და ჰსთქვა: „განა რუმინიელები პლევნასთან ჩვენზე ნაკლებ მამაცობდნენ? აგრეთვე—განა მეგობრულად არ გვექცეოდნენ ისინი იქამომდე, მინამ ბესსარაბიას მოვთხოვდით? ეს კი მართალია, რომ ეხლა ცუდის თვალით გვიცქერიან და სურთ, რომ ფეხი გადაგვიბრუნდეს“. „ხმა-ჭამა როგორი გქონდათ?“ ჰკითხა დაჭრილს აფიცერს მესამე პასაჟირმა. ღიმილით უპასუხა. „ჰქო, რა უშავდა“. პალტოში გახვეულმა კიდევ ამოიღო ხმა და სთქვა: „რა უშავდა კი არა—სამაგელი იყო“. ხშირათ სალდათები ცარიელის მუცლით ომობდნენ და ბევრს მათგანს ჩექმებიც არა ჰქონდა“. ლაპარაკში მიიღეს მონაწილეობა სხვა მხედრებმაც და სახადში ნამყოფმა აფიცერმა დაიწყო ლაპარაკი: „თუ ჩვენმა ჯარმა გაჭირება გამოიარა სადმე, სწორედ მცირე აზიაში გამოიარა. ხომ იცით რა ადგილები აიღო კავკასიის მხედრობამ, რა ნაირათ გაიმარჯვა, რა მამაცობა გამოიჩინა! ხუმრობა საქმეა ყარსის აღება, მუხთარ-ფაშის დამარცხება? გარწმუნებთ, რომ ჩვენი სალდათები ისე მოქმედებდნენ, როგორც ლომები. ვენაცვალე ჩვენ სალდათებს, იმათ გამოგვიხსნეს სირცხვილისაგან, თორემ ან ლორის-მელიქოვს, ან გეიმანს რა შეეძლო? მაგრამ გაჭირება კი ბევრი გამოვიარეთ. ჩვენი სალდათი ხშირათ ცარიელის მუცლით ღვრიდა სისხლს თავის სამშობლოსათვის. ან სად უშოვნიდით საზრდოს? განა სომხებისგან გამოდნება რამე? ურიები ხომ იცით, ურიები, აბა იმათზე უარესები არიან სომხები. ვინ ჰსთქვა, რომ სომხებს ჩვენთან შეერთება უნდათო? ეს სულ ტყუილია და იმათ სრულებითაც არა სურთ ჩვენთან შეერთება. რაც შეეხება იქაურ მოხელეებს, იმათ სრულებით მიუღიათ სომხური თვისება. ამ აფიცერმა ბევრი რამ ილაპარაკა კიდევ, მაგრამ მე ყური ვეღარ უგდე და ფანჯარაში თავი გავყავ. მივეცი თავი ფიქრებს და ერთბაშათ აფიცრების ლაპარაკმა მომაგონა ერთი პოლშელის სიტყვები: „მე თქვენ უნდა გითხრათ, რომ რუსეთის ხალხი ჩვენ პოლშელებს სრულებით ვერ გვიცნობს: ის იცნობს მხოლოდ იმ პოლშელებს, რომლებსაც უხატავს მას მოხელეების ფანტაზია და ხომ იცით მოხელეების ოინები. ამათთვის მღვრიე წყალი ყოველთვის საჭიროა, რომ თევზი უფრო ადვილათ დაიჭირონ“. ეს მომაგონდა, მაშინვე გულში გავიელვე—ხომ რუმინიელებზედა სომხებზედაც რუსის ხალხი შეადგენს თავის აზრს ომიდგან დაბრუნებულის აფიცრების და სალდათების სიტყვებით, რომლებსაც ჩემის აზრით დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეთ, რადგანაც მხედრები ომიანობის დროს თავიანთ სარგებლობის თვალით უცქერიან და სხვის სარგებლობას სრულებით ყურს არ უგდებენ. ამის ფიქრში ვიყავი, რომ ორთქლით მავალმა მაშინამ ერთბაშათ შეჭყივლა და ორი წუთიც არ გამოსულა, რომ შედგა კიდეც. მხედრები გადმოვიდნენ ვაგონიდამ სხვა გზით წასასვლელათ; ჩვენ კი ხუთმეტის წუთის შემდეგ ისევ დავძრეს ადგი-

ლიდამ და ივნისის 8-ს ხუთშაბათს სამ საათზე ვოლოჩისკის სტანციას თავი დაუკარით. აქ მოგვთხოვეს ბაშფორთები და ნახევარ საათის შემდეგ გაგვისტუმრეს ავსტრიის სტანციაში, რომელიც სამ ვერსტზე იქნება დაშორებული ვოლოჩისკის სტანციაზე. კონდუქტორების მიხრა-მოხრა და ტანოვანება, ვაგზალის სიმშვენიერე, ვაგონების სიმაღლე და სიფაქიზე—ყველა ეს ცხადათ გვიმტკიცებდა, რომ რუსეთს გამოვეთხოვეთ და უცხო ქვეყნის სამზღვარზე გავედით. ცოტას ხნის განმავლობაში ჩემოდნები ჯერეთ გვისხურეს ერთნაირის სიმყავით, რომ რა არი რუსეთიდამ სენი არაფერი შეგვეტანა იმათ ქვეყანაში, და მერე გაგვჩხრიკეს; ბილეთები ვისაც არ ჰქონდა, აუიდვინეს და ისე ჩაგვსხეს ვაგონებში. ჩვენი ჩასხდომა ვაგონებში და კარების ჩაკეტა ერთი იყო. მალე ორთქლით მავალი მაშინა დაიძრა თავის ადგილიდამ და გაიტაცა მასზე მიბმული ეტლები. მე ვამბობ ეტლები, მართლაც თითოეული ვაგონი რომ აიღოთ, წარმოგიდგენთ სწორეთ დიდ ეტლს, რომელშიაც ზიხარ და კარები გარედამ გაქვთ ჩაკეტილი. ნუ იფიქრებთ, რომ ერთის ვაგონიდამ ანუ ეტლიდამ მეორეში გახვიდეთ. ამათ ერთი ერთმანეთში გასავალი არა აქვთ. სასხდომი ადგილები ანუ მდივნები და პატარა ჩემოდნების ანუ ყუთების შესადგამები აქ მშვენიერია. აქ მხოლოდ ის აწუხებს კაცს, რომ ჩაკეტილში ზის და თავის ნებით კარში ვერ გაბძანდება. რასაკვირველია, ნემცებს როცა ეს ვაგონები უკეთებიათ, სახეში ჰქონიათ მარტო თავიანთი თავი და დავიწყებიათ, რომ იმათ ვაგონებში სხვა ქვეყნის კაცებიც იმგზავრებენ, რომლების კუშებიც შესაძლებელია ისე არ იყვნენ მიჩვეულნი დისციპლინას, როგორც ნემცებისა.

X

ჯერეც ხუთმეტი ვერსიც არ გაგვევლო სამძღვრიდამ ერთმა ჩემ გვერდზე მჯდომმა მგზავრმა წამოიძახა: ,,ერთი შეხედეთ ამ მიწებს, თუ რა ხელოვნებით არის დახნული და დათესილი. მაშინვე თავი ფანჯარაში გავყავ და ბეჯითად ყველაფერს შინჯვა დავუწყე, მაგრამ რის გაშინჯვას მოასწრებს კაცი, როდესაც ორთქლით მავალი მაშინა გამალებული მირბის? მაინც კი, მინამ კარგათ არ შებინდდა, კაცის ხელით შემუშავებულ მიწებს თვალი არ მოვაშორე; როცა კი შებინდდა, მავჯექ ეტლის კუნჭულში და მივე თავი თვლემას და ქნევას. მხოლოთ ხანდისხან კი ავდგებოდი ხოლმე, რა არი გამეგო, თუ რომელ სტანციის წინ შედგა მაშინა და რამდენ ხანს იდგება. ჩემმა მეზობლებმაც მილს მისცეს თავი და ზოგიერთმა მათგანმა დიდი ხვრინვაც ამოუშვეს. მეორე დღეს დილა ადრიან თვალები შევაშუქტე ორ ჩასუქებულს და პირ-მოპარსულს ნემეცს, რომლებიც იმ ღამეს ჩამოსხდნენ ვაგონში. ერთს მათგანს ძრიელ გულიანათ ეძინა და კარგი ტახისავე ხრუტუნებდა. იმის ბედზე, ვაგონში ბუზები არ იყვნენ, თორემ მის დაღებულ-დაღრენილ პირში სწორეთ ლეკურს მოროთავდნენ. ამ ტახ-ნემეცს ფეხთ გაეხადნა და თავისი სხვილი ფეხები დაეწყო ერთ რუსის ქალის გვერდზე, რომელიც ტუჩს იწევდა მაღლა, მაგრამ ვერას ხდებოდა. მეორე ნემეცს კიდევ მუცელზე ხელები დაეწყო და გულიანათ სთვლემდა. ამათ ათვარიელებას და ჩათვალიერებას რომ მოვრჩი, მივაჩერდი ჩემს გვერდზე მჯდომს, სუსტათ აგებულ კაცს. ამის კიკინები ცხადათ მიმტკიცებდენ, რომ ეს იყო ებრაელი. ეს ცქვიტათ იჯდა ვაგონში და თითქო ფთხილობდა არავის ვაწყენინოვო. კარგა ხანს უცქირე მე ამას და მერე ვჰკითხე: «მალე ვიქნებით ლემბერგში?» ,,მალე, მალე,'' მომიგო სიამოვნებით და მომაყარა კითხვები: ,,სად მიდიხართ, რისთვის მიდიხართ?'' და სხვა ამ გვარი. რომ როგორმე ამ კითხვებზე პასუხი თავიდამ მომესხლიტნა, მე თვითონ ვკითხე: თქვენ უთუოთ ლემბერგიდამ იქნებით? ,,დიახ''. მაშ იქ უთუოდ მაღაზია გექნებათ? არა, მე მამულის პატრონი ვარ და მამულის ნაწარმოებით ვცხოვრობ. ჩემი მამული ლემბერგაზე დასახლოვებით არის და ზაფხულობით სულ იქ ვცხოვრობ ზამთრობით კი ლემბერგში. ამ პასუხმა მე გამაკვირვა და ცოტა რა რომ ეჭვშიაც შემიყვანა მისის ვინაობის შესახებ და ამისათვის საჭიროთ დავინახე მეკითხნა ვინაობა. მან თავ-მოწონებით დაასახელა თავისი თავი ებრაელათ და სთქვა: ეხლა გალიციაში და კრაკოვში სხვა დროება არის ჩვენთვის. ჩვენ ებრაელებს გვაქვს იგივე უფლებები, რა უფლებაებიც აქვთ ქრისტიანებს; ამისათვის ჩვენი კაცი ეხლა ცხოვრების ყველა კუნჭულში მოიპოვება'' ამის მშვენიერათ და ფხიანად ლაპარაკმა ნემეცურ ენაზე გამაკვირვა და ვკითხე: სად გისწავლიათ აგრე კარგათ ნემეცური ენა? ,,სად მისწავლია? ცხოვრებაში და უნივერსიტეტში,

პოლშურ ენაზე უფრო კარგათ ვლაპარაკობ და ვსწერ, რადგანაც ჩვენ უნივერსიტეტში ამ ენაზე ასწავლიან მეცნიერებას“. ამ სიტყვებზე ყურები ვცქვიტე და გაკვირვებულის სახით შევხედე. „რაო?“ მაშინვე მითხრა ებრაელმა. „ნუ თუ არ გჯერათ, რაც მე გითხარით?“ სრულებით მჯერა. მე მხოლოდ ისე შემოგხედეთ. ბევრი რამ კიდევ ვილაპარაკეთ მე და დალოცვილმა ებრაელმა, რომელიც ლემბერგის სტანციაში ჩამოხტა. ლემბერგიდამ მოკიდებული მინამ კრაკოვში მივიდოდი, ჩემის თავიდამ არ გამოსულა ებრაელის ლაპარაკი და გონებაში გამოვიხატე სამი ოთხი დღე გამეტარებინა კრაკოვში და აქ სუყველაფერი სანდო კაცებისაგან გამეგო. როგორც გამოვიხატე გონებაში, სწორეთ ისეც მოვიქეცი. საღამოს ხუთი საათი იქმნებოდა, რომ კრაკოვში თავი ამოვყავი და დავბინავდი „დრეზდენის სასტუმროში“. ამ დროდგანვე შევუდექი ჩემის სურვილის აღსრულებას.

ქართველი მგზავრი.

(შემდეგი იქნება)

რამეთუ კაცი ვარ.

(ისტორიული რომანი გეორგ ებერსისა)

I

გარშემო კლდეებია—შიშველნი, ტვიფრნი და დარიჩინის ფრად მაყურებელნი... არაფერია ზედ, არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ძეძვი, არც ერთი მუქა ხავსი; ერთის სიტყვით არც ერთი იმისთანა რამ, რომელიც ჩვეულებრივ ამოდის ხოლმე კლდეზედ, თითქო იმის მაგალითად, რომ ცხოვრების შემოქმედი ძალა ბუნებისა თავის კვალსა ჰსტოვებს უნაყოფო ქვაზედაცაო. არაფერია, არაფერი გარდა სიპის ქვისა და ზედ წამოდგმულის ცისა, რომელიც ისე მოწმენდილია ღრუბლისაგან, როგორც თვით კლდეები ბუჩქისა და მწვანისაგან.

მაინც კიდევ ადამიანის ცხოვრება მოძრაობს აი იქ გამოქვაბულში და ორი პატარა ჩიტი დაჰსცურავს წმინდა და სუბუქს ჰაერში. მაგრამ აი ისინიც თვალს მიეფარნენ და გადაფრინდნენ კლდეებს იქით, რომელნიც ხევის პირს გადმოჰკიდებოდნენ, თითქო კედელიაო კაცის ხელით განგებ გაკეთებულიო.

ტყუილად კი არ გადვიდნენ ის პატარა ჩიტები; იქ სწორედ მადლია ღვთისა მოფენილი. მთის წყარო მოჩუხჩუხებს და ჰრწყავს ქვიანს ადგილს და საცა ნამია—იქ სურნელი მცენარენიც არიაო, იქ მიმზიდველი ბუჩქიც არის.

მეოთხე საუკუნის ნახევარში აქ სინაიას მთის წმინდა ადგილებზედ რამდენიმე წლის წინად დაბინავდნენ მეუდაბნოენი,—ბერები—კაცნი, რომელიაც ცხოვრებისაგან მოღალულ იყვნენ, და შეჰსდგომოდნენ სულის საცხონებელს და სინანულის საქმეს. ჯერ კიდევ ცალ-ცალკე ჰსცხოვრებდნენ, არ იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი არც რაიმე წესდებითა, არც რაიმე დადგენილებითა.

წყაროს ახლო ხევში, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, იდგა მრავალ შტოიანი ალვის ხე ფრთასავით ტოტ-მოწყობილი. ხოლო იგი არ აჩრდილებდა წყაროს და არ იფარებდა იქაურის მწვავის მზის სხივთაგან. მისი გრილო მარტო მის საკუთარს ძირს აჩრდილებდა. ერთს მის გძელს ტოტზედ გადაფენილი იყო გაშლით სუბუქი მოლურჯო ხელთ-სახოცი და მისი ჩრდილი ჰფარავდა სიცხისაგან სახეს ახალ-ვაზდა ქალისას, რომელიც გაშხლართულ იყო გახურებულს ქვებზედ და ღრმად რაღაცაზედ ჰფიქრობდა. მის გარეშემო ჰსძოვდნენ რამდენიმე მოყვითანო თხები, მხიარულად დაჰხტოდნენ ქვიდამ ქვაზედ, თითქო შუადღის პაპანაქება დიდად ესიამოვნებათო. ზოგჯერ ყმაწვილი ქალი წამოაყენებდა კომბალს ხელსა და უძახდა თხებსა. აი ხტომით მოგოგდა მასთან პატარა ციკანი. ბევრს პირუტყვს არ შეუძლიან სიხარულის გამოთქმა, მაგრამ თხებმა კი ეგ ყოველთვის კარგად იციან ხოლმე.

ქალმა გაიშოტა თავისი შიშველი და ლამაზად მოყვანილი ფეხი და ღიმილით გაიგდო ციკანი. ციკანს იამა ამისთანა შექცევა და უფრო მეტის თამაშობით და მხიარულებით ხელახლად გადმოისკუპა ქალისაკენ. ქალი კიდევ ისე ლამაზად ხმარობს ფეხს მის გაგდებაზედ, თითქო ვისმეს ელამაზებაო.

ციკანი ხელახლად მოუხტა ქალს, ეხლა კი თავმოღერებით თითქო რჩოლას უპირებსო. შუბლი დააჯახა ქალის ფეხის გულს. მაგრამ მაშინ კი, როცა თავისი ცხვირ-პირი ქალის ფეხის გულს წაუს-წამოუსო, ქალმა ასე ძლიერ ფეხი ჰკრა, რომ საწყალმა პირუტყვმა დაიბლავლა და შეჰსწყვიტა თამაშობა.

აშკარაა, ქალს უნდოდა იმისთანა დრო ჩაეგდო, რომ სატკენად ეკრა ფეხი ციკნისათვის. მოლურჯო ხელთ-სახოცის ჩრდილი სახეს უმალავდა ქალს; მაგრამ ეჭვი არ არის, რომ გაჯავრდა და თვალები აუბრიალდა, ციკანი რატომ აღარ მეთამაშებაო.

დიდხანს იწვა იგი უძრავად; ხოლო ხელთ-სახოცი ჩამოვარდა, გადაეფარა სახეზედ და იგი იძროდა ოდნივ მისის ალმოსუნთქვისაგან. ქალი დიდის გულის-თქმით და ყურ-აცქვეტით რაღაცას უგდებდა ყურს.

მოისმა რაღაცა ხმაურობა. ხმა მოდიოდა იმ ადგილიდამ, საცა უშველებელი ბუნებითი კიბე დიდროვანის ქვებისა ჩამოჰსდევდა ფრიალო კლდეს ხევამდე, რომელშიაც წყარო მიჩუხჩუხებდა.

ქალს ელდამ გაურბინა ნაზსა და ჯერ ძლივად შემთავრებულ ასოებში. მაგრამ არ დაიძრა მაინც. პატარა ჩიტები, იქავ ძეძვზედ მსხდომარენი, დაფთხნენ და გაფრინდნენ. მათ მოესმათ ხმაურობა, მაგრამ ჯერ ვერ შეეტყოთ ვისგან არის ის ხმა. ქალი კი უფრო ყურ-მახვილი იყო.

ქალმა გამოიცნო, რომ ეგ ხმა ადამიანის ხმაა, ისიც კი გამოიცნო რომლის ხმაა: იმისთანა ძახილი მარტო ერთს შეეძლო.

ქალმა ხელი გამოიწოდა, წაავლო ქვას ხელი და ჩააგდო წყაროში. წყარო მაშინვე აიმღვრა, მერე გადმობრუნდა, გვერდზედ დაწვა, თავის ქვეშ ამოიდო მკლავი და თავი მოიმძინარა. მტკიცე და მარჯვე ფეხის ხმა უფრო და უფრო ცხადად მოისმოდა.

კიბეზედ ჩამოდიოდა მაღალი და მშვენიერი ტანადი ყმაწვილი კაცი. ტანისამოსზედ ეტყობოდა, რომ იგი ერთი ბერთაგანია სინაის მთისა. მას ტანზედ ეცვა მარტო ერთი პერანგი სხვილის ტილოსი და ფეხის გულზედ ეკრა ტყავი ალვის ხის ხრალით ფეხზედ გამაგრებული.

ამაზედ საწყლად ტყვესაც არავინ მოჰრთავდა. მაგრამ მაინც ვერავინ იტყოდა, რომ იგი აზატი და თავისუფალი კაცი არ არის: ისე ამაყად, თავმოწონებით და რიხიანად მოდიოდა. ბევრი ბევრი ოცის წლისა ყოფილიყო. ამას ამტკიცებდა ბუსუსი, რომელიც ამოსვლოდა ულვაშების ადგილს, ნიკაბზედ და ლოყებზედ. გარნა დიდრონი, ცისფერი თვალები ჭაბუკობის ცეცხლით არ ჰქონდა ანთებული. პირიქით—თვალებში გამოჰკრთოდა რაღაც გულ-ნატკენობა და პირიც მოეკუმშა, თითქო რასმეს ჯიუტობსო.

ყმაწვილი კაცი შედგა და გადიყარა უკან სქელი თმები, რომელნიც ლომის ფაფარივით გადმოეფინა არეულად შუბლზედ. შემდეგ მივიდა წყაროსთან და მოემზადა, რომ წყალი ამოეღო გოგრითა. მაშინ ჯერ დაინახა რომ წყალი აუმღვრეეიათ, მერე თვალი მოჰკრა თხებსაც და ბოლოს მძინარე ქალსაცა.

გაჯავრებულმა, ჭურჭელი ძირს დადგა დი ხმა მაღლა დაუყვირა ქალს. ქალი არც კი გაინძრა, ვიდრე უშველრად ფეხი არ წაჰკრა. მაშინ კი წამოხტა ქალი სწრაფად, თითქო გველმა უკბინაო და ორი თვალი, ბნელი როგორც ღამე, ცეცხლით აენთო და გამობრწყინდა ქალის ჭაბუკი და შავგვრემანი სახე. ცხვირის ნესტოებმა თრთოლა დაუწყეს და თეთრად გამოკრთდნენ ქალის კბილები, როცა შეჰსძახა:

— განა ძაღლი ვარ, რომ მაგრე მაღვიძებ?

ყმაწვილი კაცი წამოწითლდა, გაჯავრებით მიუთითა წყაროზედ და მკვახედ უთხრა:

— შენმა თხებმა ხელახლად აამღვრიეს წყარო; ეხლა მე აქ უნდა ვიჯდე და ვუცადო, მინამ დაწმნდება.

— არა გიშავს რა. დღე დიდია,—მიუგო ქალმა და კიდევ ჩააგორა ქვა წყაროში, ისე ვითომ ფათერაკად მოუვიდაო.

ყმაწვილმა კაცმა შეამცნივა, რომ ქალს ძალიან იამა ხელახლად ამღვრევა წყლისა და რისხვით შეჰყვირა.

— მართალი მითხრა მე იმან! შენ—სწორედ შხამიანი გველი ჰყოფილხარ, ჯოჯოხეთიდამ გამოსული სატანა ხარ.

ქალს სიცილი წაჰსქდა, მოუბრუნდა და ისე დაელმიჭა, თითქო უნდა დაუმტკიცოს რომ მართლა ეშმაკების ჩამომავალია. შეჰკრთა ყმაწვილი კაცი, უკან მოდგა, გაიწვდინა ხელი მოსაგერებლად, ღვთის სახელი მოიწოდა და რა ხედავდა, რომ ქალი უფრო და უფრო მხეცურად ხარხარებს, დაიყვირა:

— გამეცა, სატანავ, გამეცა! სახელითა უფლისათა გკითხავ: შენ ვინა ხარ?

— მე მირიამი ვარ, სხვა ვინ უნდა ვიყო? მიუგო სიცილით ქალმა.

ყმაწვილი კაცი სხვა პასუხს მოელოდა. ქალის კასკასი ძალიან ჰსწყინდა და გაჯავრებით უთხრა:

— შენ რაც გინდა დაირქვი სახელად, ოღლო შენში კი რაღაც ბოროტი სული ჰზის და მე პავლეს შევეხვეწები, რომ შენ აგიკრძალოს და თხები აღარ მოგარეკინოს აქ ჩვენის წყაროს წყლის დასალევად.

— უფრო კარგს იზამდი შენს ძიძასთან გაიქცე და იმასთან დამაბიზღო,—მიუგო ქალმა და სასაცილოდ აიგდო.

ყმაწვილი კაცი წამოწითლდა, ქალმა კი უშიშრად განაგრძო ლაპარაკი:

— შენ დავაჭკაცებულ კაცად უნდა გეჭიროს თავი, იმიტომ რომ ტანი და ღონეც შეგწევს. ამის მაგიერ შენ მიგიცია ნება და როგორც ბაშვს, ანუ გოგოს ისე გექცევიან. აბა რა კაცი ხარ, ერთი მითხარი. ძირხვენას ჰგლეჯ, ხილსა ჰკრებ და ამ უბედურის ჭურჭლით წყალს ეზიდები—ამის მეტს ოღ არას აკეთებ? მაგაებს მე ვჩაედიოდი მაშინ, როცა აი ამოდენა ვიყავი.

აქ ქალმა ხელი დაბლა დაიღო და მიწიდამ ძალიან მოკლე სივრცე ანიშნა.

— ფუჰ! შენ უფრო ღონიერი ხარ და ლამაზად მოყვანილი, ვიდრე აი ის ამალიტელი ჭაბუკი ქვევით რომ ჰსცხოვრებს. ოღ ასეა, მაგრამ აბა ერთი ჰსცადე და გამოეჯიბრე ვინ ვის ჰსჯობია ან შვილდოსნობაში, ან შუბის ხმარებაში!

— მე რომ გაბედვა მქონდეს რაც მინდა, ის ვქმნა—გააწყვეტინა სიტყვა ყმაწვილმა კაცმა სირცხვილით ჭარხალსავით წამოწითლებულმა,—მე იმისთანა მჭლე ქონდრის-კაცებს თუნდა ათს გაეუძღვებოდი.

— მე მაგაზედ დარწმუნებული ვარ, უპასუხა ქალმა, და მისი გულის-თქმით სავსე თვალი რაღაც თავ-მოწონებით დააჩერდა ყმაწვილის-კაცის მხარბეჭს და ძარღვიანს მკლავებსა.—მე მაგაზედ დარწმუნებული ვარ, მეთქი, მაგრამ, ერთი ეს მითხარ, რატომ ვერ ჰბედავ? განა შენ ყმა ხარ იმ კაცისა, რომელიც აიქ ზევითა დგას?

— ის მამაჩემია, და ამასთანაც.....

რა—ამასთანაც? დაიძახა ქალმა და გაიქნივა ხელი, თითქო რაღაც უნდა უკუ ირიდოსო. არც ერთმა ფრინველმა რომ არ მოინდომოს თავის ნებაზედ ბუდიდამ გამოფრენა—კაი წეწვა გლეჯა არ შეუდგებოდათ ბუდეში! ჩემს ციკნებს მაინც შეხედე: მინამ დედა საჭიროა, უკან დაჰსდევენ და რაკი იმოდენად მოიყრებიან, რომ თვითონ იშოვონ საზრდო, წავლენ და სადაც უნდათ და როგორც უნდათ ისე შოულობენ. დამიჯერე, რომ აი ამ ერთის წლის ციკანს აღარც კი ახსოვს ვისი ძუძუ უწოვნია თეთრის თუ შავის თხისა. ან ვითომ მამაშენი რა დიდს საქმეს გიკეთებს, რომ მაგაებს ამბობ?

— ჩუმად! დაუყვირა მართალის გულის წყროსმით ჭაბუკმა: ეშმაკი ლაპარაკობს შენის ენითა. გამეთრიე აქედამ. მე ის არ უნდა შეუშვა ყურში, რის თქმაც მე თვითონ მეშინიან.

— უნდა ყურში შეუშვა, უნდა და უნდა! გამოაჯავრა ქალმა. თუ მაგას ვერ ჰბედავ, მაშ რის პატრონი ბრძანებულხარ? დახე, ყურში სიტყვაც ვერ შეუშვია, ეშინიან! ფუ!.. მაშ რალა კაცი ყოფილხარ!

— ის კაცი ვარ, შე სატანავ, რომ შენი სიტყვა არ უნდა ყურში შეეუშვა, უთხრა გაჯავრებით

მე შენი ხმაც კი მძულს და თუ კიდევ აქ წყა-როსთან გნახე, სულ ქვის სროლით გაგაგდებ აქე-დგან.

ქალმა გაშტერებით დაუწყო ყურება ყმაწვილ-კაცსა. ტუჩები გაულურჯდა და პაწაწა ხელები მუშ-ტებად დაეკუმშა.

ყმაწვილ-კაცმა წყაროსაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ ქალი წინ გადუდგა და თვალი თვალში გაუყარა. ტანში ჟრჟოლამ გაურბინა, როცა ქალმა ტუჩების თრთოლით და ნაღვლიანის ხმით უთხრა:

— მე შენთვის რა დამიშავებია?

— გამეცალე მეთქი, უთხრა ყმაწვილმა კაცმა და გაიწოდა ხელი; რომ გზიდამ ჩამოიცილოს.

— თუ კაცი ხარ და ხელს მახლებ! დაუყვირა ქალმა. რა დამიშავებია, ♣რ იტყვი?

— შენ არ იცი ქვეყანაზედ ღმერთი არის თუ არა და ვინც ღვთისა არ არის, ის ეშმაკისაა!

— მაგას ხომ შენსას არ ამბობ, სხვის სიტყ-ვას მეუბნები, უპასუხა ქალმა და ხმაზედ ეტყობო-და, რომ ცოტად დაჰსცინის: შენთვის ეგ სიტყვები უსწავლებიათ, სხვისი ჭკუა ალაპარაკებს შენს ენასა. ვინ გითხრა, რომ მე ეშმაკისა ვარ?

— მე არ დაგიმალავ მაგას! უთხრა თავ-მო-წონებით ყმაწვილ-კაცმა: ღვთის მოყვარე პავლე მა-ფთხილებს და მეუბნება შენ მოგერიდო და ამისთვის მე დიდი მადლობელი ვარ. იმან მითხრა, რომ შე-ნის თვალით ეშმაკი იყურება. მართალიც არის, ათასჯერ მართალია! როცა შენ მე შემომხედავ ხოლმე, მაშინვე გულში სურვილი გამიელის ფეხ-ქვეშ გავქელო ყოველი, რაც კი წმინდაა ქვეყანა-ზედ. უკანასკნელს ღამეს მე მესიზმრა, ვითომ კუდიანობის სერობაში მე და შენ თავგადაგლე-ჯით ვბუქნაობდით.

ამ სიტყვაზედ მირიამის სახიდამ გაჰქრა გუ-ლის ნატკენობა და ნაღვლიანობა. ხელი ხელს შე-მოიკრა და ნატვრით წამოიძახა:

— ეგ რომ ცხადი ყოფილიყო და არა სიზ-მრად! ნუ შეშინდი კიდევ, შე სულელო! განა შე-ნი ჭკუა მისწვდება, რა კარგია, როცა სალამური უკრავს, სიმები წკრიალებენ და ფეხები ატოკდე-ბიან ცეკვითა, თითქო ფრთები გამოებათო,— ფრთები სატანისა! მკაცრად მოჰსწყვიტა სიტყვა გერმასმა: შენ ეშმაკი ხარ, ეშმაკი, შე ღვთისაგან შეძულებულო ურჯულოვ!

ღვთის მოყვარე პავლე ეგრე ამბობს განა! და-იწყო ხარხარი მირიამმა.

— მეც ვამბობ მაგას, მეც, შეჰყვირა ყმაწვილ-მა კაცმა: განა შენ როდესმე უნახვიხარ ვისმე კე-თილ-მორწმუნეთა შორის? განა შენ როდისმე გი-ლოცვნია? როდისმე მადლობა გადაგიხდია ღვთისა და მაცხოვრისათვის.

— ვითომ რისთვის უნდა გადამეხადნა? იმისა-თვის თუ, რომ თქვენში ყველაზე უფრო ღვთის მოყვარე კაცი სატანას მეძახის?

— დიაღაც, იმიტომ რომ შენ ცოდვილი ხარ და ღმერთი თავის მოწყალეს თვალს გარიდებს.

— არა, არა და ათასჯერ არა! დაიძახა მირი-ამმა: არა რომელსამე ღმერთსა ჩემთვის გული არა ჰსტკენია. აბა როგორ ვიყო გულ-კეთილი როცა ავის მეტი ჩემს წილად თავის დღეში არა ურგუნე-ბიათ რა? იცი მე რა ვარ და რათა ვარ ასეთი? გა-ნა მე ბოროტი ვიყავ მაშინ, როცა დედ-მამა და-მიხოცეს, სალოცავად რომ მიდიოდნენ იერუსალიმს? მე მაშინ ექვსის წლისა ვიყავ, ექვსისა! მაგრამ მა-ინც კარგად მახსოვს, რომ ჩვენს ეზოში ბევრი აქლემი და ცხენი ჰსძოვდა, სულ ჩვენი საკუთარი იყო, მე მახსოვს, რომ დედის ჩემის ხელზედ, რო-მელიც მე მიალერსებდა, უშველებელი ალმასი ბრწყინავდა. მეცა მყვანდა ზანგის ქალი მოახლეთ და ყოველს ჩემს ბძანებას ხმა გაკმედილით ემორჩი-ლებოდა. თუ არ დამიჯერებდა, მე ნება მქონდა თმებით მეთრია და ტყავი გამეძრო. ვინ იცის, ის ეხლა სად არის! მე ის არ მიყვარდა, მაგრამ ეხლა რომ ის ჩემთან იყოს, რარიგად გულკეთილად მოვექ-ცეოდი! აი ეხლა ეს თორმეტი წელიწადია, რაც ტყვის ლუკმასა ვჰსჭამ და სენატორის პეტრეს თხებს ვუვლი და უკანა ვსდევ. მე რომ მორთულს და თავისუფლად მყოფს ტოლ ამხანაგში გავერიო ეხ-

ლა, პანჩურის კვრით გამომაგდებენ და თავიდამ მორთულობას მომხდიან. ნუ თუ ამისათვის მადლობა უნდა უთხრა ღმერთსა და თაყვანი ეჰსცე! რომელი ღმერთი ჰზრუნავს ჩემთვისა, რომელი? მეძახეთ სატანა, მეძახეთ, ხოლო თუ პეტრე და შენი პავლე იტყვიან, რომ ის ღმერთი, რომელმაც მე ამ შავ დღეში ჩამაგდო, კეთილი ღმერთიაო, იტყუებენ. ღმერთი თვითონ ბოროტია, და იმას არა ედარდება რა იმისაგან, რომ შენ ჩაგაგონა ჩემი აქედამ ქვის სროლით გაგდება.

ამ სიტყვებზე ქალმა ქვითინით ტირილი დაიწყო და ყოველი ასო სახეზედ შაეშალა.

გერმასს შეეცოდა მტირალი მირიამი. ასჯერ მაინც ენახა აქამომდე ეს ქალი, იგი ხან გულშხამიანად დახვდებოდა, ხან მხიარულად, ხან გულმრისხანეთ, ხოლო თავის დღეში არ ენახა იგი ასე გულჩათუთქული და კეთილ მგრძნობიარე.

დღეს პირველად გადაუსხნა გერმასს თავისი გული მირიამმა. ცრემლმა სახის მეტყველება შეუცვალა ამ ქალს და მთელს მის არსებას ისეთი ფერი დაჰსდო, რომ გერმესს ამისაკენ გული მოუბრუნდა. გერმესი ეხლა ხედავდა თავის თვალწინ ღონე მიხდილს, მწუხარებით დაჩაგრულს ქალსა. შერცხვა, რომ წინად ეგრე უგულოდ მოექცა. მივიდა მირიამთან და ალერსიანად უთხრა:

— კარგი, ნუ ჰსტირი. როგორც გინდა და როცა გინდა იარე ამ წყაროზედ. მე აღარ დაგიშლი.

მისი რიხიანი ხმა მოჰრბილდა და მოტკბა, როცა ეს სიტყვები უთხრა; მაგრამ ქალი უფრო ძლიერ ატირდა, უფრო ძლიერ ამოუჯდა გული. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შეიძლო. მთელი მისი ნაზი აგებულება კანკალმა აიტანა, და ეგრე მწუხარებით მოკლული მშვენიერი ტანადი მწყემსი ქალი იდგა უძრავად გერმესის წინ. გერმესმა იგრძნო, რომ შველაა საჭირო.

ჭეშმარიტი გულ-მკივნეულება დაიძრა მის გულში და დაუბა მოხერხებული ენა.

სიტყვა ნუგეშის ცემისა რომ ვერ მოახერხა, მარჯვენა ხელიდამ მარცხენაში გადიღო კოკა და მარჯვენა დაანდო ქალს მხარზედ.

ქალი შეკრთა და არ ეურჩა.

მისის სუნთქვის სითბო ეცა ჭაბუკსა.

გერმასს უნდოდა უკუ მდგარიყო, მაგრამ იგრძნო, რომ თითქმის მიკერებულია ერთს ადგილას. მას ს წორედაც ვერ გაეგო მართლა ტირის ქალი, თუ იცინის. ყმაწვილი-კაცის ხელი ისევ ქალის მხარზედ იყო დანდობილი. ქალი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა. ბოლოს კი თავი მაღლა აიღო, თვალებში ცეცხლმა გაუელვა და ყმაწვილმა კაცმა უეცრად იგრძნო რომ ორი ნაზი ხელი მოეხვია ყელზედ.

მას ისე ეგონა, რომ ზღვამ მის ყურში უცებ შუილი დაიწყოო და თვალთა წინ მეხმა გაიელვაო.

რაღაც გაუგებარმა ელდამ სრულიად შეიპყრო ჭაბუკი. ერთი ღონივრად დაიბღერტა, გამოეცალა ქალს, მაღლა ხმით დაიყვირა და გაიქცა, თითქო ავი სული დაედევნაო. ისიც ველარ შენიშნა, რომ მისი კოკა სირბილში ქვას მოხვდა და დაიმსხვრა.

მირიამი გაოცებული უძრავად დარჩა და თვალიააყოლა გერმასსა. მერე შემოიკრა თავისი პატარა ხელი თავში, მივიდა ისევ წყაროს პირს დაწვა და თვალი გაუშტერა ცარიელს სივრცესა.

როცა მზემ გადიხარა და ხის ჩრდილი დაგრძელდა, მირიამი წამოხტა, მოირეკა თხები და სულ განაბულმა ყური მიაპყრა იმ მხარეს, საიდაც გერმასი გაიქცა.

საღამო მოკლეა ხოლმე იმ ადგილებში და მირიამმა იცოდა, რომ ცოტა კიდევ დაიგვიანოს, ლამე მოასწრობს ღორღიანსა და ოღროჩოღრო გზებზედ. უიმისოდაც ღამით ეშინოდა ხოლმე, ეშმაკისა და მავნე სულის მოჩვენებისა ეფიქრებოდა, თუმცა არ იცოდა რა მიზეზით კი. მაგრამ მაინც ის ადგილიდამ არ იძროდა და სულ სმენად იყო გადაქცეული. მას იმედი ჰქონდა, რომ გერმასი ისევ მობრუნდებოდა.

მზე მიეფარა კიდეც წმინდა მთასა და მეწამული ფერი დასავლეთისა ცაზედ გაქრა.

ჩამოვარდა საშინელი მყუდროება ასე, რომ ქალს თავისი საკუთარი გულის-ცემა ესმოდა. ღამის სიცივემ შეაკრჭოლა. უცბად მოესმა რაღაც ხმაურობა უკანიდამ. ჯიხვის ფარა ჩამოდიოდა წყაროზედ წყლის დასალევად. კაცის სუნი აიღეს და გაფთხნენ. მარტო ერთი წინამძღვარი ყოჩიღა შერჩა ხევის პირზედ და აქედ იქით იყურებოდა. მირიამმა იცოდა, რომ ყოჩი ამის წასვლას ელის, რომ ჩამოიყვანოს ფარა წყალზედ.

გულში რაღაც მადლიანმა გრძნობამ გაურბინა და აიწია კიდეც ფეხი რომ წასულიყო და დაეთმო ადგილი იმ პირუტყვთათვის. მაშინ უეცრად მოაგონდა მუქარა გერმანისა, რომ ამ წყაროდამ გაგაგდებო. გამორეტებულმა წამოაველო ქვას ხელი და ესროლა ყოჩს. ყოჩი გაფრთხა და გაიქცა. უკან დაედევნა ყოჩს მთელი ფარაცა.

მირიამმა ჯიხვების ფეხის ხმა გაიგო. მერე ჩამოჰკიდა ნაღვლით თავი, გამოირეკა თხები და ბნელაში გაემგზავრა თავის გზაზედ.

(შემდეგი იქმნება.)

განცხადება

უფ. გრიგოლ ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ნინო, მოთხრობა თ. რ. ერისთვისა, ფასი 15 კ.

ლექსთა კრება, თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ივანე კერესელიძისა, იოსებ ბაქრაძისა და სხვების. შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისა, ფასი 10 კაპ.

იგავ-ირაკნი, «სიბრძნე-სიცრუიდგან» გალექსილი თ. რ. ერისთვისა, გამოც. გიგო ჩარკვიანისა, ფასი 10 კ.

ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველთა, ტრაგედია ოთხს მოქმედებად, თხზ. თ. ალექ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა, ფასი 30 კ.

«თამარ ბატონიშვილი», სუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი,» კოტე მესხისაგან, ფასი 30 კ.

სალამური, ანუ ლექსთა კრება, ფასი 10 კაპ.

გოგია მეჩანგურე, ლეგენდა თ. ა. წერეთლისა ფასი ერთი შაური.

არანკა, ჭერტოგოვინის ქალი, თხზ. გ. წერეთლისა, ფასი ერთი აბაზი.

ნიკო ნიკოლაძის ნაწერი, ფასი ორი აბაზი.

ალმანახი, შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან, ფასი ორი აბაზი.

გლოვა ირაკლი მეორისა, თქმული სოლომონ მსაჯულისაგან, ფასი ერთი შაური.

ლექსები, თქმული ბრმის ალექსი გომიაშვილისაგან, ფასი სამი შაური.

აქვე ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები.

თელავში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები უფ. რ. ცამციევთან, სასულიერო სასწავლებელში.

მაისის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Августа 1878 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.